ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის სხდომის

ო ქ მ ი N13

სხდომის ჩატარების დრო:
25 ოქტომბერი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
ბესიკ ხამაშურიძე, მაგდა კოსტავა, მამუკა რიჟამაძე, მაია სიმონიძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, კობა გურული, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

სულ: 12 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

სულ: 4 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია მოადგილე **იუზა უგულავა,** მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თინათინ ბერიშვილი,** მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე **მირზა ხიდაშელი,** მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის-იურიდიული განყოფილების უფროსი სპაციალისტი **რუსლან გვეტაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის, მეორად სტრუქტურულ ერთეულში-იურიდიულ განყოფილებაში შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტი **ვალსი გარდაფხაძე.**

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი შენგელია,** საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გია ბასილაძე,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **პაატა ლილუაშვილი,** ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე,** საკრებულოს წევრი **ელეონორა არჩაია,** საია-ს ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი **ნოდარ ჯიქია.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე."

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი- 2022 წლის ოქტომბერი) გაწეული მუშაობის შესახებ.

3. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის N57 განკარგულებში ცვლილების შეტანის თაობაზე;

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბესიკ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის" საწესდებო კაპიტალში შეტანის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობა საზოგადაოება „ონკოლოგიური სამეცნიერო კვლევითი ცენტრისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით მოქალაქე ფიქრია ნიკოლაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

8. გაეროს ბავშვთა ფონდისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“**

ზემოაღნიშნული საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული განყოფილების, მეორადი სტრუქტურული ერთეულის-იურიდიული განყოფილების უფროსმა სპაციალისტმა, ბატონმა **რუსლან გვეტაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **რ.გვეტაძემ** აქვე განმარტა: „2022 წლის 27 ივლისის N36 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტრორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციის და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“, სადაც განისაზღვრა რეგისტრაციის კრიტერიუმები, პროცედურები და საცხოვრისით დაკმაყოფილების წესი, ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 8 სექტემბრის ბრძანებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალური საცხოვრისის პროგრამის მეორე ეტაპის დაწყებასთან დაკავშირებით გამოცხადდა კონკურსი, კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველები აღმოჩნდნენ მარტოხელა დედები, ონკოპაციენტები, ძალადობის

მსხვერპლის სტატუსის მქონე პირები, რომლებმაც კონკურსში მონაწილეობის მიღება ვერ შეძლეს დადგენილი წესიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნას N1 დანართში ზემოაღნიშნული. ფაქტიურად ჩვენ ცვლილება შეგვაქვს მე-4 მუხლში, ვაზუსტებთ და ვავრცობთ ჩამონათვალს. დაახლოებით დაინტერესებულ პირთა რაოდენობა 400-მდეა."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **მამუკა რიჟამაძე:** „რატომ გახდა ცვლილება საჭირო მაშინ, როდესაც ჩვენ ჩამონათვალში ნახსენები გვქონდა განსაკუთრებული შემთხვევაც, არ შეიძლებოდა მიგვეკუთვნებინა ამ შემთხვევისათვის თუნდაც ეს ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირი? თუ კი ჩვენ ჩამონათვალს გავზრდით, არეალი უფრო გაფართოვდება და უფრო მეტი განცხადება შემოვა."

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული განყოფილების, მეორადი სტრუქტურული ერთეულის-იურიდიული განყოფილების უფროსი სპაციალისტი, ბატონი **რუსლან გვეტაძე:** „განსაკუთრებული შემთხვევა კვლავ დარჩა, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები დაემატა, მინდა აქვე ავღნიშნო, ეს ქულები არის უბრალოდ ინფორმაციული ხასიათის, კომისიას მაინც შეუძლია იმსჯელოს და გაითვალისწინოს ან არ გაითვალისწინოს."

კომისიის წევრი, ბატონი **გიორგი კილაძე**: „ორმაგი მოქალაქეობის მქონე, რომელთაგანაც ერთ ერთი საქართველოა, ვიღებთ თუ არა მსგავსი პირების განცხადებებს?"

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული განყოფილების, მეორადი სტრუქტურული ერთეულის-იურიდიული განყოფილების უფროსი სპაციალისტი, ბატონი **რუსლან გვეტაძე:** „მსგავსი შემთხვევა არ გვაქვს გათვალისწინებული."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-11 წევრი, თავი შეიკავა-გიორგი კილაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე."

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი- 2022 წლის ოქტომბერი) გაწეული მუშაობის შესახებ."**

ზემოაღნიშნული საკითხი წამოადგინა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა: „**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. კომისია თავის საქმიანობის ფარგლებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ფულადი სახსრების მობილიზაციის, ბიუჯეტის შემოსავლების მიზნობრივად განკარგვის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების, მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების დადგენის, საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვას. საკრებულოს სხდომამდე, აქტიურად იხილავს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს და შესაბამის დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს ბიუროს სხდომას. კომისია უზრუნველყოფს ამა თუ იმ უძრავი, ან მოძრავი ქონების ორგანიზაციისათვის, ან ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის გადაცემის შესახებ პროექტების დამუშავებასა და დასკვნების მომზადებას. სერიოზული ყურადღება ეთმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულებების პროექტების განხილვას. კომისია შედგება თექვსმეტი წევრისაგან. მიმდინარე მოწვევის პერიოდში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას ჩატარებული აქვს 12 სხდომა, განხილულია სულ 76 საკითხი, რომლებზეც მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები, ყველა მათგანთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა

დასკვნები. ჩატარებული ყველა სხდომა იყო საჯარო და ყველა მათგანზე მოწვეული იყო აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები. მუშაობის კოორდინირების მიზნით კომისიამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2022 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც გახდა კომისიის ძირითადი სამუშაო დოკუმენტი. გეგმის მიხედვით, კომისიის სხდომებზე ხდება ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების გაწეული საქმიანობისა თუ სამომავლო პერსპექტივების განხილვა. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კომისიის სხდომებზე ისმენს მერიის შესაბამისი სამსახურების ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ და ახორციელებს მონიტორინგს მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. მიმდინარე წლის აგვისტოსა და სექტემბრის თვეში ჩატარებულ გეგმიურ სხდომებზე კომისიამ მოისმინა ანგარიშები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" მიერ, მიმდინარე წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ და დადებითად შეაფასა წარმოდგენილი ანგარიშები. კომისიამ განიხილა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დოკუმენტი „მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის 2021 წლის ანგარიში". დოკუმენტში დადებითად გამოიკვეთა, თბილისისა და ქუთაისის გამოცდილება სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის მიზნით შექმნილი არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირების ერთ ორგანიზაციად გაერთიანების შესახებ, რაც ამცირებს ადმინისტრაციულ დანახარჯებს და დაწესებულებების მართვას უფრო ეფექტიანს ხდის. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ პოზიტიურად იქნა მიჩნეული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ერთ სტრუქტურაში გაერთიანების პრაქტიკა. სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამ მხრივ თბილისისა და ქუთაისის გამოცდილება შესაძლებელია სხვა მუნიციპალიტეტებმაც გაიზიარონ. „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის

კომისიამ განიხილა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისში მდებარე კონსტანტინე გამსახურდიასა და სულხან-საბას ქუჩების შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ," ასევე „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცემის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების 4[1] მუხლის მიხედვით, განიხილა განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის N22-ე საჯარო სკოლისათვის პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ამავე სკოლის დამაარსებლის, ნესტორ გოქაძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ." კომისიამ საქართველოს მთავრობის ზემოხსენებული დადგენილებისა და მინისტრის ბრძანების საფუძველზე დადგენილი პროცედურების შესაბამისად შეიმუშავა დადებითი დასკვნები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. კომისიის სახელზე შემოსული განცხადებების განხილვის შედეგად, რომელიც ეხება, როგორც მატერიალურ, ასევე ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, კერძოდ: ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, „ტრენაჟორებისა" და სკვერების მოწყობას, შემზღუდავი ბარიერების სამაგრი სამუშაოების ჩატარებას, გარე განათების დამონტაჟებას, მცოცავი მიწისა და ფასადის სამაგრ სამუშაოებს, გზის საფარის მოწყობას და ა.შ, მერიის შესაბამისი სამსახურის წინაშე შუამდგომლობა გაეწია 45-მდე მოქალაქეს. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურბნეობის კომისიის შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტებია: საკრებულოში შემოსული, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ პროგრამებსა თუ პროექტებში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა, ასევე, მის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით დასკვნების წარდგენა საკრებულოსათვის, ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი სამსახურებისა თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მონიტორინგი, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებების განხილვა, მათზე სათანადო რეაგირება და სხვა."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა

წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხამდ **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ და დადებითად შეფასებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი- 2022 წლის ოქტომბერი) გაწეული მუშაობის შესახებ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის** მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

ზემოაღნიშნული საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **მირზა ხიდაშელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.ხიდაშელმა** აქვე განმარტა: „წარმოგიდგენთ ჩამონათვალს, ჩეჩელაშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურა, რომელიც გარდამავალია და ახლაც მიმდინარეობს და მომდევნო წელს დასრულდება, პირველ ეტაპზე შეთანხმებულია სანიაღვრე სისტემის და ტროტუარების მოწესრიგება და შემდეგ გზის საფარი გამოიცვლება, ხანძთელის და ავალიანის ქუჩების რეაბილიტაცია. ვერ ხერხდება მანამ, სანამ სრულად არ რეაბილიტირდება ჩეჩელაშვილის ქუჩა. ამის შემდგომ კი თუ ფინანსური შესაძლებლობა გვექნება, ეს ქუჩებიც საკმაოდ გასაკეთებელია, მე-4 სამუსიკო სკოლა, სადაც ეხლაც მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, გაფრინდაშვილის ქუჩა N10-თან ჩამოშლილი ბელტია, საკმაოდ პრობლემატური საკითხია, გამსახურდიას მე-10 შესახვევი, რომელიც წელს დამთავრდება, ტიციან ტაბიძის ქუჩის სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია, დავაზუსტებ ეს პროექტი არ მოიცავს მხოლოდ ამ ქუჩის სანიაღვრე სისტემას, ე.წ. დინამოს სტადიონიდან და მიმდებარე ქუჩებიდან რაც კი წყალი გადმოდის, ყველა ხვდება ტაბიძის ქუჩის სანიაღვრეში, ადგილობრივ მოსახლეობას ექმნება პრობლემები, სანიაღვრე დაზიანებულია და წყალი ჟონავს, მუხნარის ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები დაწყებულია, პროექტი

გარდამავალია და მომავალ წელს დასრულდება, მომდევნო წლისთვის დაგეგმილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი არის ზვიად გამსახურდიას ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, დაახლოებით 4,8 მილიონი ლარის ღირებულების, ეს პროექტი თავის თავში მოიცავს, როგორც სანიაღვრე სისტემას, ასევე გამწვანებას, გარე განათებას, ძელსკამებს და გზის საფარს, ასათიანის ქუჩის N139-ში ფასადის მოწესრიგება, კოლხეთის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწესრიგება, 1300 000 ლარიანი ბიუჯეტით, რომელიც მოიცავს კოლხეთის ქუჩაზე ჩამომავალი ყველა ქუჩის წყლის მილების გამოცვლას, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი ეს არის ნინოშვილის სკვერის სრული რეაბილიტაცია, შადრევნის ჩათვლით დაახლოებით 1 600 000 ლარის ღირებულების, თუ არ ჩავთვლით ხე-მცენარეებს, დანარჩენი ყველაფერი შეიცვლება. საჭადრაკო სკოლის რეაბილიტაცია, ნიჩბოსნობის სკოლის რეაბილიტაცია 1მილიონი ლარის ღირებულების პროექტია, ხარებავას ქუჩა N52-ში იგეგმება სპორტსკოლის რეაბილიტაცია, აიპ-ს სჭირდება, რომ ჰქონდეს ახალი ფლიგელი მაღალი სტანდარტებით და ოპტიმალური პირობებით, კოსტავას ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია, ამასთან დაკავშირებით გავაკეთებ განმარტებას, ვიცით, რომ კოსტავას ქუჩა პრობლემატურია მაგრამ ჩვენ ვერ შევდივართ იქ სანამ არ მოწესრიგდება სრულად საკანალიზაციო სისტემა, რომელიც სრულად ამორტიზებულია, ჩვენ გავაკეთებთ პროექტს, მაგრამ წყლის კომპანიისაგან თუ არ გვექნება გარანტია, რომ პარალელურად ამ საკითხს მოაწესრიგებენ, კაპიტალური რეაბილიტაცია ვერ მოხერხდება."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **კობა გურული:** „გამსახურდიას ქუჩას რადგან შევეხეთ, კიკვიძის სკვერის მოპირდაპირედ არის ორი ცხრასართულიანი, მათ წინ მდებარე სკვერს რა ბედი ეწევა?"

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **მირზა ხიდაშელი:** „მგონია, რომ თემატურად არ იქნება სწორი მაშინ, როდესაც კიკვიძის სკვერი არ არის რეაბილიტირებული, ეს სკვერი დავაყენოთ პრიორიტეტებში, გასაკეთებელი არის რათქმაუნდა, თუმცა პირველ რიგში კიკვიძის სკვერია სარეაბილიტაციო ფინანსების არსებობის შემთხვევაში. როდესაც გამსახურდიას ქუჩაზე შემოვალთ და ეს პროექტი 5 მილიონიანია, დამატებითი რესურსი, რომ ამ ქუჩის მიმდებარედ რაიმე გავაკეთოთ იქნება, ფაქტობრივად ადგილზე მოსვლით ვნახავთ რის საშუალებას მოგვცემს ბიუჯეტი."

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **პაატა ლილუაშვილი:** „მახსენდება ორი ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, ოქროს ჩარდახი, რომელიც ფაქტობრივად თავზე გვენგრევა და კალათბურთის სპორტსკოლის რეაბილიტაცია, ხომ არ სჯობს, რომელიმე ჩამოთვლილი პროექტი ამ ორით ჩავანაცვლოთ, ოქროს ჩარდახის პროექტი გვაქვს და რასაც ვუყურებ მისი სახურავი ისე არის დაზიანებული, ზამთარში ნალექის დროს ჩამონგრევის საფრთხე არსებობს."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „რომ დავამატოთ ჩამონათვალს არ არის შესაძლებელი?

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **მირზა ხიდაშელი:** „მოგახსენებთ, ყველა პროექტი რომ ჩავწეროთ ამ სიაში და ეს განკარგულება იცით, რომ საჯაროა ეს შემდგომში იწვევს კითხვებს, რატომ არ განხორციელდა ესა თუ ის პროექტი, ფიზიკურად მომდევნო წლის მეორე ნახევარში რომ დავამატოთ ეს პროექტი და დავიწყოთ განხორციელება, ვადებში ვერ ჩავეტევით დაზამთრებამდე და უფრო სავალალო შედეგს მოიტანს, ნალექს თუ სახურავის გარეშე დახვდა აღნიშნული შენობა."

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „არის თუ არა შესაძლებელი, რომ წითელი ხიდი ცალმხრივი მოძრაობით დავტვირთოთ და იქნებ ამან მაინც განტვირთოს იქ მოძრაობა?"

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **მირზა ხიდაშელი:** „პრაქტიკაში შემდეგნაირად აკეთებენ, თავდაპირველად უნდა გახდეს ცალმხრივი, შემდეგ შეაფასებენ რამდენად იმუშავა, სატრანსპორტო ნაკადების მენეჯმენტში ასეა განსაზღვრული, ხორციელდება გარკვეული პერიოდის ქრონომეტრაჟი, შედეგების ანალიზის შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას."

კომისიის წევრი, ბატონი **გიორგი კილაძე:** „ნიჩბოსნობის თემაზე გამოყოფილი 1 მილიონი ლარის შეკვეცის ფონზე, ხომ არ შეიძლება ოქროს ჩარდახის შენობას მივხედოთ? ვფიქრობ საჩქარო და მნიშვნელოვანი თემაა."

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე:** „თქვენ ახსენეთ კოსტავას ქუჩის რეაბილიტაციის პრობლემის შესახებ, რომელიც წყალმომარაგების კომპანიის მიერ საკანალიზაციო ქსელის მოწესრიგებაზეა დამოკიდებული, ვფიქრობ ეს პროექტი უახლოეს მომავალში არ განხორციელდება და ხომ არ სჯობს ჩავანაცვლოთ ოქროს ჩარდახის პროექტით."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაგდა კოსტავა:** „ჩემი სუბიექრური აზრია, რომ სანამ წყალმომარაგების კომპანია წარმოადგენს პროექტს და დაიწყებს საჭირო ღონისძიებებს, პირველ ეტაპზე რაც აუცილებელია, ის თანხა მოვახმაროთ ოქროს ჩარდახს."

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **მირზა ხიდაშელი:** „ამ სიაში ცვლილებების და დამატებების გაკეთება შესაძლებელია, სამინისტროში ვერ წავა სია თქვენი მოწონების გარეშე."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ნინოშვილის სკვერის რეაბილიტაციის პროგრამას შევეხები,

ხომ გვაქვს ამის პროექტი ნაყიდი, თუ არის შესაძლებელი პროექტის დანაწევრება, რიგი ღონისძიებების გადადება და აქედან ეკონომიების გაკეთება?"

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **მირზა ხიდაშელი:** „შესაძლებელი არის, თუმცა არ გირჩევთ, ფული დაიხარჯება, ეფექტს ვერ მივიღებთ და მოსახლეობა დარჩება უკმაყოფილო."

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „დავიწყებ კოსტავას ქუჩის თემით, თბილისში როდესაც დავსვით ეს საკითხი, იქაც ვთქვით, რომ მაინც ვერ გავაკეთებდით კანალიზაციის და წყლის პრობლემების გამო, ამიტომ მეორე ეტაპშია ჩაწერილი ეს პროექტი. ტაბიძის სანიღვრის რეაბილიტაცია და მუხნარის ადმინისტრაციულში სკვერის რეაბილიტაციის პროგრამა გარდამავალი პროგრამებია და დასრულდება მომავალ წელს, მთავრობა რეალურად ფულს არ გვაძლევს, გვიფინანსებს პროექტებს და შესაბამისად ამ შესრულების შემდეგ დარჩენილ ეკონომიებსაც თვითონ წაიღებს შემდგომ, ჩვენ არ დაგვიტოვებს ცხადია, ჩვენ რომ ვიბრძოლოთ იმისათვის რომ ნიჩბოსნობა ამოვიღოთ სიიდან პირობითად, ამას ჯობია ოქროს ჩარდახის რეაბილიტაციის პროექტის დამატებაზე ვიმუშაოთ მათთან, ცვლილების გაკეთებაც შეგვიძლია, თუმცა დამატება უფრო უპრიანი იქნება. ოქროს ჩარდახი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, თუ კი ჩვენ შევიტანთ ამ სიაში, უნდა დავაფინანსოთ ჩვენვე, იქნებ სახელმწიფოსთან კომუნიკაციის მეშვეობით გამოვიდეს ისე, რომ სახელმწიფომ აიღოს თავის თავზე მისი სრული რეაბილიტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეგიძლიათ აქ წარმოდგენილ სიაში ცვლილების შეტანა."

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „შევეხები ნიჩბოსნობის სკოლის რეაბილიტაციას და ჩემს სუბიექტურ აზრს დავაფიქსირებ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც ქალაქში არსებობს პრობლემა კალათბურთის სპორტსკოლის გამართულად ფუნქციონირებისა, ბავშვებს არ შეუძლიათ ჯეროვნად ივარჯიშონ და არ აქვთ საშუალება მაღალი სტანდარტების მქონე გარემოში სრულყოფილად თვითრეალიზაციისა, მე პირადად არასწორად მიმაჩნია სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის 10%, რომელიც საკმაოდ სოლიდური თანხაა, დაიხარჯოს ნიჩბოსნობის სკოლის რეაბილიტაციაში, ხომ არ სჯობს ეს პროექტიც გადმოვიტანოთ მეორე ეტაპზე და დავამატოთ კალათბურთის სპორტსკოლის რეაბილიტაციაც ამ სიას."

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „კიდევ ერთხელ გეტყვით რომ მე მექნება კომუნიკაცია ნოემბრამდე სახელმწიფო სტრუქტურასთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე ბევრად ადვილია მოსაზრების დასაბუთება და შემდეგ დადებითი გადაწყვეტილების მიღება, რაც შეეხება კალათბურთს, მოგახსენებთ, რომ სასამართლოს უკან ვაკეთებთ სტადიონს, რომელიც დასრულდება წლის ბოლოს, გადაეცემა სკოლას, უნივერსიტეტიდან წამოვიღეთ ქონება და ინვენტარი, ვახარჯავთ 800 000 ლარს და წლის ბოლოს იქნება დასრულებული."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-8 წევრი, თავი შეიკავა-ნინო ბიბილეიშვილმა, ლაშა შალამბერიძემ, გიორგი კილაძემ და კობა გურულმა) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის N57 განკარგულებში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნული საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „საპრივატიზაციო გეგმას ემატება ორი ობიექტი, ერთი არის ნახევარსარდაფი 14370 ლარის ღირებულების, მეორე-ბუხაიძის პირველ შესახვევში N1 მდებარე ობიექტი 1418 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი 255 240 ლარის ღირებულების.“

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-9 წევრი, თავი შეიკავა-ნინო ბიბილეიშვილმა, ლაშა შალამბერიძემ, გიორგი კილაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის N57 განკარგულებში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბესიკ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის" საწესდებო კაპიტალში შეტანის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნული საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „გაბაშვილის პარკი არის მერიის მიერ დაფუძნებული შპს და ჩვენვე შეგვაქვს კაპიტალში მიწის ნაკვეთი, რომელსაც გამოიყენებენ ავტოსადგომისათვის."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობი კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „განვმარტავ, საკუთრებაში არ გადავცემთ ამ მიწის ნაკვეთს, ამ შპს-ს წილის მართვა აქვს გადაცემული 50 წლის ცადით, ეხლა უნდათ ეს მიწის ნაკვეთი

ავტოსადგომის მოსაწყობად და მომგებიანი თუ გახდება, ამ შემთხვევაში ქალაქის ბიუჯეტში შემოიტანს თანხას."

კომისიის წევრი, ბატონი **ლაშა შალამბერიძე:** „ვისაც გვყავს ბავშვები და ხშირად ვტუმრობთ პარკს, ყველა ვხედავთ, რომ იქ არაფერი არ კეთდება, პირიქით დაზიანებულია ყველაფერი, ეს ავტოსადგომიც თუ ოდესმე გახდა მომგებიანი ძალიან საეჭვოა და მგონია, რომ უსარგებლო გადაწყვეტილებას მივიღებთ."

კომისიის წევრი, ბატონი **გიორგი კილაძე:** „თუკი პარკინგისათვის ესაჭიროება აღნიშნულ პარკს ეს ადგილი, მაშინ გადავცეთ პარკინსერვისს და თანხაც შემოვა ბიუჯეტში, მე მაქვს ეჭვი, რომ გარკვეული დროის შემდეგ მოითხოვენ ამ გადაცემულ ტერიტორიაზე სხვა სახის კონსტრუქციის ჩადგმას და შეუცვლიან დანიშნულებას."

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „მეპატრონეს აქვს აუდიტის დასკვნა, რომ განახორციელა 5 მილიონიანი ინვესტიცია, რომელიც ხელშეკრულებაში ჰქონდა ჩადებული. მას ეს ტერიტორია მართვაში აქვს გადაცემული, ხოლო საკუთრება კვლავ მუნიციპალიტეტისაა, ქუთაისში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია და ვფიქრობ კარგი იქნება ყველა შესაძლებლობა შევუქმნათ სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობი კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „შესაძლებელია ხელშეკრულების პირობაში გავაკეთოთ ჩანაწერი, რომ ზემოაღნიშნულ ადგილს გამოიყენებს მხოლოდ საპარკინგედ და არა სხვა მიზნობრიობით."

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „ჩეჩელაშვილის ქუჩის რეაბილიტაციაზე იყო საუბარი და შევეხები მეტად საყურადღებო საკითხს, როგორც იცით ჩინელებს აქვთ შეძენილი იქ ფართი, ხელშეკრულებაში აქვთ რაიმე პირობა ჩადებული?"

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „სამწუხაროდ არანაირი პირობა არ არსებობს, ეს ფართი გასხვისებულია უპირობოდ, ისეთივე მესაკუთრეები არიან, როგორც ყველა და ვერ შევუზღუდავთ მათ საკუთრების უფლებას, დასუფთავების პრობლემას რაც შეეხება, შევიდეთ და დავასუფთაოთ."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობი კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „საკითხი კენჭისყრაზე გაგვაქვს ერთი შენიშვნით, პირობაში განხორციელდეს დამატებით ჩანაწერი, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი გამოყენებულ იქნეს მხოლოდ პარკინგის დანიშნულებით."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის

თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-6 წევრი, წინააღმდეგი-ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გიორგი კილაძე, თავი შეიკავა-მამუკა რიჟამაძე, ზაქრო მამასახლისი) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბესიკ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის“ საწესდებო კაპიტალში შეტანის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა თანდართული შენიშვნების გათვალისწინებით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობა საზოგადაოება „ონკოლოგიური სამეცნიერო კვლევითი ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნული საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი ითხოვს, ქალაქ ქუთაისში ახალგაზრდობის გამზირის მარჯვენა მხარეს მდებარე სკვერის ნაწილის (2374 კვადრატული მეტრის ფართობის) იჯარით გადაცემას ავტოსადგომის მოწყობის მიზნით, წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 14956 ლარს, დამატებით 2000 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთზე იღებს მოვლა-პატრონობის და კეთილმოწყობის ვალდებულებას.“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობი კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ვფიქრობ 10 წლის მაგივრად გადავცეთ 5 წლის ვადით."

კომისიის წევრი, ბატონი **მამუკა რიჟამაძე:** „ვეთანხმები ბატონი ამირანის მოსაზრებას, ვნახოთ რამდენად შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და შემდეგ გადავუგრძელოთ იჯარის ვადა."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაგდა კოსტავა:** „როგორც ჩემთვის ცნობილია ამ ტერიტორიაზე იგეგმება ველობიკილის და ატრაქციონების პარკის მოწყობა, მოქალაქეებს აქვთ მოლოდინი, რომ გზის ნაპირზე უნდა გაკეთდეს მოსაცდელი რეკრეაციული ზონა. იმედი მაქვს შენობის წინა, ზემოხსენებული ტერიტორია ხელს არ შეუშლის ამ პროექტის განხორციელებას, რაც დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს მოსახლეობაში."

კომისიის წევრი, ბატონი **მამუკა რიჟამაძე:** „საკითხი გადასახედია, გავიდეთ ადგილზე, ვნახოთ პროექტი, დავრწმუნდეთ რომ დაგეგმილ პროექტს ხელს არ შეუშლის ეს ქმედება და შემდეგ მივიღოთ გადაწყვეტილება."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობა საზოგადაოება „ონკოლოგიური სამეცნიერო კვლევითი ცენტრისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" გადაიდოს სამომავლო განხილვისათვის, მისი ძირეულად შესწავლის მიზნით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით მოქალაქე ფიქრია ნიკოლაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნული საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „საუბარია რუსთაველის გამზირი N112-ში 3 კვადრატული მეტრის ფართობის ტროტუარის ნაწილის, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე, კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით მოქალაქე ფიქრია ნიკოლაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მერვე საკითხის- **„გაეროს ბავშვთა ფონდისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ."**

ზემოაღნიშნული საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის, მეორად სტრუქტურულ ერთეულში-იურიდიულ განყოფილებაში შრომითი ხელშეკრულებით მოწვეულიმა სპეციალისტმა, ბატონმა **ვალსი**

გარდაფხაძემ.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.გარდაფხაძემ** აქვე განმარტა: „გაეროს ბავშვთა ფონდი მუნუცუპალიტეტში მცხოვრებ ბავშვებს (მათ შორის უკრაინიდან დევნილებს) აძლევს ერთჯერად მატერიალურ დახმარებას 235 ლარის ოდენობით, სულ საუბარია 989 ბავშვზე."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „გაეროს ბავშვთა ფონდისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მერვე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი